

# საქართველო

# რეპუბლიკა



წელი 10 მან. 1920 წ. 24

## საქართველოს რესპუბლიკა

განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სახელმწიფო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ. განცხ. საბუღალტრო დაქარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიბრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-33.

ეკატერინე ზაალის ასული ამი ახვარი შვილებით: მარიამ და თამარ გიორგის ასულნი აძილავდნენ, ელენე და ნინო მაჩაბლავისა და სიძეები რევაზ ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე ელიზბარის ძე მაჩაბლინი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ტრადიციულად დაღუპულ საყვარელ შვილის, ძმის და ცოლის ძმის

### მიხაილ გიორგის ძე ავილას ვაჩის

ნახევარი წლის პანაშვიდი დანიშნულია 25 ნოემბერს, სოფელ ფხვირისში. 3881

### სახალხო თეატრი

24 ნოემბერს ოთხშაბათს, კონცერტი ბავშვობის და დედობის დამცველი საზოგადოების სასარგებლოდ. ხუთშაბათს 25 ნოემბერს მე-3 ქართულ ენაზე ოპერა

### „ლალატი“

პარასკევს, 26 ნოემბერს მორდკანის ბალეტი „ვიზელი“, შაბათს 23 ნოემბერს, ოპერა ზუშუბისთვის „ქეთო და კოტე“, კვირას 28 ნოემბერს ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

### სახალხო ფიფო ღრავის თეატრი

სუთშაბათს, ნოემბრის 25-ს ომში დაჭრილ დასახარებულთა კავშირის საღამო.

1) „დარისაანის გასაჭირი“, 2) „ირინას გედნიაკება“ დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი აკაკი ფაღავა. შაბათს, ნოემბრის 28-ს პირველად „ზღვასთან“, შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ორიგინალური ტრადედია „ბერდო. ზმანია“. ბილეთები კასაში. 971 1-1

### საქართველოს სახანო რკინის გზების საგასალო მთავარსაფუძველი, ავთო ახვარის მოიხარა

სავითად განთავსდნენ ბოკეების პატრონებს გამოცხადდნენ სამასალო ნაწილში, თ მისაღებათ, უკეთუ ღლიდნ ამ განცხადებისა, 15 დღის განმავლობაში არ გამოცხადდნენ პატრონები, მაშინ ბოკეები საჯარო ვაჭრობით იქნება გაყიდულნი. მასთანავე სამასალო ნაწილი აცხადებს, რომ ამ ნავთის და ყოველივე მისი ნაწარმების ღირებულებამ, რომელიც იყო დაკავებული საქართველოს დემ. რესპ. ტერიტორიაზე მიეცემა მეპატრონეებს ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ. 1000 2-2

### საქართველოს რკინის გზათა სამმართველო

აგით ახვარის, რომ 26 და 30 ნოემბერს 1920 წ. დღის 10 საათზე

### აუქციონით გაიყიდება

აქვეყნებული ცემენტი შემდეგ ადგილებში: 26 ნოემბერს ტფილისში მთავარ სამასალო საწყობში—36 ბოკა, ლიანდაგის და შენობათა სამსახურის მეტყვე უბანის საკუქნაოში—40 ბოკ., ხოლო 30 ნოემბერს, სამტრედიის სამასალო საწყობში—24 ბოკ., ლიანდაგის და შენობათა სამსახურის საკუქნაოში: მეოთხე უბან. ღ. შორაპანში—60 ბოკ., შესაძენ უბან. სადგ. ქუთაისი—81 ბოკა და მეორე უბანის სად. ფოთში—151 ბოკა. აქვეყნებული ცემენტის მიღება შეიძლება: საქ. რესპუბლიკ. რკინის გზათა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში. 1000 2-2

### საქართველოს მთავრობის განცხადება

#### განცხადებები

ფოსტ-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსსა.

21 ოქტომბერი, 1920 წ., № 55.

გამწესებულნი არიან: მოქალაქე გიორგი ნაცვლიშვილი 6 ხარისხის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად ენისელში, ყოფილი მოხელე ალექსანდრე მიქაუტაძე 6 ხარისხით ბათუმში ორივენი 21 ოქტომბრიდან.

დანიშნულნი არიან: მანგლისის 4 ხარისხის მოხელე ილია იანკოვი 3 ხარისხით, დუშეთის ფოსტალიონი კონსტანტინე ტატიშვილი 6 ხარისხის მოხელეთ, ტფილისის ფოსტის კანტორის ფოსტალიონები: ივანე აბულაძე და შალვა დავითიშვილი პირველ კატეგორიის ფოსტალიონებად ტატიშვილი 21 ოქტომბრიდან დანარჩენნი 1 ნოემბრიდან.

გადუვალინი არიან იმავე წოდებით: ახალციხის ფოსტალიონი მიხეილ კეხელი—დუშეთში, მოხელეები: ფოთის 5 ხარისხის ესტრატე ბერია ახალ-სენაკში, ახალ-სენაკის 5 ხარისხის ივანე შავგულიძე ფოთში და ზესტაფონის 4 ხარისხის ივანე გაბუნია ბათომში. ყველანი თანამდებობისა 21 ოქტომბრიდან.

დათხოვნი არიან სამსახურიდან: ქუთაისის ტელეფონის ქსელის ტელეფონისტი ქალები ნინო გოგლიძე და ნადედა გეგეკეკორი, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის უფროსი მექანიკოსი ფეოდოსი ვლადიმეროვი, ეკატერინოვკის ფოსტალიონი ანდრია ბალაგაძე და ტფილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილების ფოსტალიონი სამუელ კვანტალიანი 1 სექტემბრიდან, დანარჩენნი 21 ოქტომბრიდან. გეგეკეკორი და გოგლიძე საქმისადმი უყურადღებობისთვის და უფროსის კანონიერ ვანკარგულეების შეუსრულებლობისათვის, დანარჩენნი თანამდებობისა. ამორიცხულია სიგბიდან სამხედრო სამსახურში მრდების გამო ზუგდიდის ზედსხედველი დაბალი ჯამაგირისა ლეონ ჯოჯუა 15 ოქტომბრიდან.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

#### ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

21 ნოემბერი, 1920 წ., № 327.

დანიშნის: სიღნაღის ხაზინის მონაგარი შეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი ივანე ხუციშვილი ამა წლის ქრისტეშობისთვის 1-დან.

№ 328.

დანიშნის: სიღნაღის ხაზინის მე-2 ხარ. ბუხალტრად იმავე ხაზინის რეგისტრატორი მიხეილ ფურცელაძე ამა წლის ქრისტეშობისთვის 1-დან.

№ 329.

დანიშნის: ზესტაფონის ხაზინის მე-2 ხარისხის ბუხალტრის ამავე ხაზინის მე-2-რე ხარისხ. მოლარე მიხეილ კაპანაძე ამა წლის ნოემბრის 16-დან.

№ 330.

დანიშნის: ზესტაფონის ხაზინის მონაგარი შეთ ამავე ხაზინის რეგისტრატორი ეკატერინე კარტინა ამა წლის ნოემბრის 16-დან.

№ 331.

დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, სტატისტიკურ განყოფილების გამგე პეტრე დავითისძე ლოლაძე ამა წლ. 9 ნოემბრიდან.

№ 332.

დაევალოს საქციელო სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის ასრულება იმავე სამმართველოს უფროსის თანაშემწეს ნესტორ გრიგოლისძე ლამბარაშვილს ამა წლ. 1920 წლ. 15 ნოემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი.

№ 465.

#### სახელმწიფო კონტროლიორის ახვანაგია

22 ნოემბერი, 1920 წ.

სახელმწიფო კონტროლის მონაგარი შე მოხელე ფამარ კონსტანტინე ჯავარიძის ასული. თანახმათ მისი თხოვნისა სრულიად დათხოვნილია სამსახურიდან. ა. წ. 20 ნოემბრიდან. № 466.

22 ნოემბერი, 1920 წ.

ინიშნებიან: სახელმწიფო კონტროლის ბათუმის სოლქო განყოფილებაში: კონსტანტინე თემურაზისძე დიხამინჯია მონაგარი შე მოხელეთ ა. წ. 1 ნოემბრიდან, აქსენტი აბელისძე მიქაიტაძე კანცელარიის მოხელეთ 5 ნოემბრიდან და თამარ ნიკოლოზ ჭავჭავანიძის ასული მემანქანეთ 19 ოქტომბრიდან. სახელმწიფო კონტროლიორის ახვანაგია.

კ. ანდრონიკოვილი.

#### საქართველოს მთავრობის განცხადება

#### საქართველოს მთავრობის განცხადება

22 ნოემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე შემდეგი ნოტა გაუგზავნა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის სრულყოფილებიან წარმომადგენელს საქართველოში:

ვალსტუტებ რა თქვენს ნოტებს მიღებას მიმდინარე ნოემბრის 10 ს თარიღით № № 3294 და 3297 ვითომდა ქ. ბათუმის მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ შეთანხმების ერთ-ერთ სახელმწიფოს მიერ, მაქვს პატივი განმეორებით დ. ვალსტუტო 4 ნოემბრის № 4599 ჩემს ნოტაში აღნიშნული მოსაზრებანი და განაცხადო, რომ ჩვენ არ მოგვეპოება არავითარი ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ყოფილიყო ს. ფ. დ. ვალსტუტის ჩაგვეთვალა ხმები ბათუმის ვითომდა მოსალოდნელ დაპყრობის შესახებ.

ქალ. ბათომი და ბათუმის ოლქი წარმოადგენენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ბუნებრივსა და განუყოფელ ნაწილს და მათზე ვიცელებოდა განსაკუთრებული სუვერენული ხელსუფლება საქართველოსი, და ამიტომ ყოველი ღონისძიება მათი ხელუხლებლობის დასაცავად, უკეთუ მას რაიმე საფრთხე მოეღოს, უნდა გამომდინარეობდეს არა სხვა ვინმესაგან, არამედ საქართველოს მთავრობისაგან.

საქართველოს ხალხი, რომელმაც დიდი მსხვერპლის გაღებით შესძლო თავისუფლების მოპოება და დაცვა, შესძლებს აგრეთვე მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველი ცდას, მისი სუვერენიტეტის დასარღვევად, ან მისი ტერიტორიის წინააღმდეგ მიმართულს, ვისგანაც და რა მოსაზრებითაც უნდა მოხდეს ასეთი ცდა. და თუ, როგორც ეს აღნიშნე 4 ნოემბრის № 9599 ჩემს ნოტაში, ამ საკითხში საქართველო ვისგანმე თანაგრძობას მოიპოვებს, ეს იქნება ჩათვლილი საქართველოს ხალხის მიმართ მეგობრულ გრძობათა გამოცხადება.

ხოლო ყოველი განზრახვა საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა და მუქარა მისი ტერიტორიის დარღვევისა, უკეთუ ამას ადგილი ექნება, ვისი მხრითაც უნდა იქნეს იგი მომართული, ცნობილ უნდა იქნეს როგორც აქტი აშკარად იმპერიალისტური ხასიათისა, ისე, როგორც ყოველი. გამოვლდა ბათუმის დამცველად, რამდენადაც ეს გამოვლდა მოხდება საქართველოს მთავრობის ცნობისა და თანხმობის ვარაუდ.

ვთხოვთ შემოაღნიშნული აუწყოთ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობას. მიიღეთ და სგ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მავიერ კ. ხახანკარაშვილი. 22 ნოემბერი 1920 წ. № 10188.

### საქართველოს გარეგანი

ნოემბრის 21. ემილ ვანდერვალდს საქართველოს შესახებ. ბრიუსელის გაზეთ Le Poudre-ს 21-ს ნომერში მოთავსებულია ემ. ვანდერვალდის წერილი სათაურით „პირველი სოციალისტური მთავრობა“ მთელი წერილი საქართველოსადმი მხურვალე თანაგრძობით არის გამსჭვალული. ავტორი დაწვრილებით ახასიათებს ქართველ დემოკრატიის მიერ განვლილ გზას და მთავრობის მიერ შექმნილ პოლიტიკას. საქართველოს მთავრობას ავტორი უწოდებს პირველ სოციალისტურ მთავრობას ქვეყანაზე. წერილი ამ სიტყვებით თავდება: „რათა საქართველოს მიერ დაწყებული საქმე და ცდა, რომლის დიდი მნიშვნელობა ყველასთვის თვალსაჩინო უნდა იყოს, კეთილად განვიტარდეს და დაგვირგვინდეს, საქართველომ გარკვეული სავაჭრო ურთიერთობა შექმნიდეს მას: საქართველოს მთავრობა, რომელიც „დედაქალაქი“ ცნობილია კიდეც, ახლო მომავალში უნდა ცნობილი იქნას დედაქალაქი“.

თუ, რომ ქვეყნად სადმე არსებობს ისეთი მხარე, რომელსაც თავისუფლებისათვის გმირობა ბრძოლით და ერთსულოვნების სრული შეგნებით დაუმსახურებია ცნობა, ასეთი მხარე უწინარეს ყოვლისა საქართველოს რესპუბლიკაა.

ჩვენ შევიცდებით ვთქვათ, რომ ახლო მომავალში საქართველოს უფლებები ცნობილი იქნება“.

### უცხოეთი

(საინფორმაციო განკ. ცნობები).

#### გაფიცვის შედეგები.

„ტანი“ სწერს: გაუცვათა შედეგები უფრო მძიმეა ბალონში, მილანში და ტრიესტში. ხმ ქალაქში მომხდარმა ამბებმა მთელი იტალია კომუნისტების წინააღმდეგ აამბედრა. პოლიტიკურ და მუსიკალურ წრეებში ამბობენ, რომ სოციალისტებსა და ბალსევიკებში არსებობს შორის სრული განხეთქილება მოხდა. პრესა წესრიგის დასამყარებლად მთავრობისა და საზოგადოების ენერგიულ ჩარევას მოითხოვს.

#### ჯიოლიტის კანდიდატი.

„იდეა ნაკობაძი“ იუწყება: ჯიოლიტი ფიზიკურად იმდენად გრძობს სულს და თავს, რომ შესაძლებელია ახლო მომავალში მას მთავრობის თავმჯდომარის ადგილის დატოვება მოუხდეს. ჯიოლიტის კანდიდატად ასახელებენ წიტის.

#### ჩიჩერინის განცხადება.

„ტანი“ სიტყვით რუსეთში მომხდარ არეულობის შესახებ ევროპის პრესის საპასუხო ჩიჩერინმა სთქვა: პეტროგრადში ისეთივე მყუდროებაა, როგორც საბჭოთა რუსეთის დანარჩენ ქალაქებში. რუსეთში მომხდარ არეულობის შესახებ მოთავსებული ცნობები ყალბია. რუსის საზოგადოების მორალური მდგომარეობა საუკეთესოა.

#### ქემალისტების მიზანი.

„რაიონი“ სწერს: ქემალისტების ძირითადი მიზანი სომხეთში არის მოკავშირეებზე და ამერიკაზე ზეგავლენის მოხდენა. იმ აზრით, რომ შეჩერებულ იქნეს ბერძნების წინააღმდეგობა მცირე აზიაში თანახმად ცნობების სტამბოლის მთავრობა არავითარ პრესტიჟით არ სარგებლობს.

#### საერთაშორისო კონგრესი.

პროფ. კავშირთა საერთაშორისო კონგრესი შესდგება ლონდონში ნოემბ. 22. დღის წესრიგში სდგას: 1) საერთაშორისო ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ; 2) საკითხი ვალუტის სოციალისტების და ნედლი მასალის განაწილებისა.

#### მთავრობის გადაღობა.

ერის მთავრობა ფრენთში გადადგა. მიზეზი გადადგომისა მხარის ეკონომიკური მდგომარეობა და ამისტიის გამოუცხადებლობის სურვილი.

#### საფრანგეთში პარიზის კავშირი.

„პარიზის კავშირი“ მოყვას „მორნიკ-პოსტ“-ში დაბეჭდილი წერილების ზოგიერთი ადგილი, სადაც ხაზგასმულა საფრანგეთ-ბრიტანეთის კავშირის სამკაცე. ჩვენმა მეგობრობამ საფრანგეთთან, სწერს ინგლისური გაზეთი, სარგებლობა უნდა მოუტანოს ორივე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ ერთი მთავარი გაქირავდება ან თუ მოკლის რაიმე საფრთხე.

#### არეულობა დუბლინი.

სინფერინთა შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ საოკუპაციო კორპუსს იმ ოფიცერთა სადგომებს, რომელნიც მონაწილეობას

იღებდნენ საველე სასამართლოში, სადაც აჯანყებულთა საქმეები ირჩეოდა. მოკლულია რამდენიმე ინგლისელი ოფიცერი.

#### ზავის რატიფიკაცია.

ბელგრადიდან მოსული ცნობით სერბების პრინცი-რევენტმა მოახდინა რაპალის ზავის რატიფიკაცია.

### დეკემბერი

(საქართველოს დემეშათა სააგენტო).

#### გერმანული ცნობები.

##### საპროტესტო ნოტა.

გერმანიის მთავრობამ მიმართა ბელგიის საპროტესტო ნოტი ბელგიის პრემიერის განცხადებისა და ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნების გამო შესახებ ეიპენის და მალბედის ბელგიისთან შეერთებისა, მას შემდეგ რაც ეს ადგილები 100 წელზე მეტია ჩამოცილებულია ბელგიაზე. ნოტა იხსენებს, რომ ეიპენი და მალბედი პრუსიის ეკუთვნოდა დიდი ხნის წინათ სანამ ესლანდელი ბელგიის სამეფო დაიწყებდა არსებობას.

##### მოსამსახურეთა კავშირი.

მაგდებურგში შეგროვდა გერმანულ მოსამსახურეთა კავშირის დელეგატები და შეადგინეს მოსამსახურეთა ცენტრალური კავშირი, რომელშიც 353,000 წევრი შევა.

##### რევოლუციონური მართლობები.

ბერლინიში სოც.დემოკრატთა მიტინგზე კამილ გაისმანი მეორე ინტერნაციონალის მდიანი ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვიდა და დაახასიათა ისინი, როგორც რუსეთის რევოლუციონური მართდებები. პური და ზავი საფლავს გაუხრის ბოლშევიკებს, რომელიც დღემდე სტოცხლობს იმით, მაშასადამე, თუ ზავი იქნა დამყარებული, ბოლშევიკების მიტინგები, პირველად ყოვლისა ლენინი, ჩქარა მოისპობან. გაისმანმა იმედი გამოთქვა, რომ მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა, მთელი ქვეყნის სოც.დემოკრ. მეორე ინტერნაციონალს მიემხრობა.

##### ელჩთა კონფერენცია.

ნახევრად ოფიციალურად ადასტურებენ, რომ გერმანიის მთავრობას არა სურს აღსრულება ელჩთა კონფერენციის მოთხოვნები. ის, რომელიც იმ ორი ცეკელის გადაცემას შეეხება, რომლებიც გერმანიის სკარდება საჰაერო დამოკიდებულებისათვის და მას (მოაზრობას) არა სურს აგრეთვე ააშენოს სამი ახალი ცეკელი, ან მათი ლიგებულება გადაიხადოს. ეს სამი ცეკელი უნდა გადაეცეთ მოკავშირეებს იმ ჰაეროპლანის სამაგიეროთ, რომლებიც მოკავშირეებს უნდა გადაეცემოდა და რომლებიც დროებით ზავის შემდეგ გერმანელებმა გაანადგურეს.

##### ლიონის ცნობები

##### ერთა ლიგაში.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა შესდგა კვირას გიმონის თავმჯდომარეობით. დაესწრო ლიონ ბორჟეა. განიხილეს პოლონეთ-ლიტვის სადაო ტერიტორიაზე სახალხო კონსულტაციის დაარსების საკითხი.

„მატენი“ სწერს: ერთა ლიგის მე-5 კომისიის სხდომაზე (ამ კომისიის დაფუძნების აქტს ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა საკითხის განხილვა, ვივანმა შემდეგი წინადადება შეიტანა: არც ერთი სახელმწიფოს მიღება არ შეიძლება ერთა ლიგაში, თუ ის არ აკმაყოფილებს 4 მოთხოვნისას, სახელდობრ: 1) სახელმწიფომ უნდა აღსრულოს ყველა ინტერნაციონალური ვალდებულება, რომელიც მას მიუღია თავს თავზე; 2) ამ სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს პასუხისმგებელი მთავრობა, რომელიც ხალხის ვალდებულებებს მიიღებს თავის თავზე; 3) ეს სახელმწიფო ისე უნდა იყოს განწყობილი, რომ ერთა ლიგა დარწმუნებული უნდა იყოს მის მიერ მიღებულ ვალდებულებების აღსრულებაში; 4) სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საზღვრები და ამ საზღვრებში მისი მცხოვრებლები ერთს ეროვნებას წარმოადგენენ. თათბირის შემდეგ კომისიამ, რომელშიც შედის ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი, ერთმანეთს მილოვივანის წინადადება. „მატენი“ აღნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ფიშერმა პირველმა დაუჭირა მას მხარი. ლორდი რობერტ სესილი მიემხრო მას უკამათოდ.

„დეილი ექსპრესი“ იუწყება: ლორდ ჩელმს ფორლის მაგიერ ინდოეთში დაინიშნა მეფის თანამეცხედრად უილიამეტონი.

### საბჭოთა რუსეთი

(რუსეთის დემეშათა სააგენტოს ცნობები).

#### სამხედრო ცნობები.

მოზირის რაიონში, მოზირის სამხრეთით 25 ვერსზე და დასავლეთით 15 ვერსზე ჩვენ ადგილები დავიკავებთ: პრიპიატის მარცხენა ნაპირზე ჩვენ დაბა სლიონიკი ავიღეთ. მტრის მთავარი ძალა თავს იყრის მოზირის აღმოსავლეთით. კორესტენ მოზირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ნაროვლი აიღო და ლისკას რაიონისკენ წინ წაიწია. სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მდ. სლოვიაის მარცხენა ნაპირზე წინ წაიწია და უკან დახეულ მტრს სდევნის. წამოვიყვანეთ ტყვეები. ვოლოჩისკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მტრის შევიწროებას განაგრძობს. ჩვენი ჯარი ვოლოჩისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 ვერსზე იმყოფება. ნოემბრის 20 ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე. ხელთ ვაგდეთ 17 ტყვის მფრქვეველი. ჯავშნითი მატარებელი „ხაზოროვეცი“ ორი ზარბაზნით და 6 ტყვის მფრქვეველი.

(გაზეთებიდან.)

#### პროლეტარული რევოლუცია და საზოგადოებრივი წესრიგი.

პროლეტარულ რევოლუციის სამი წლის თავის აღსანიშნავად გაზეთ „პრავდა“ ცნობით მოსკოვის მცხოვრებთ ოქტომბრის ნორმის ანგარიშიში მიეცემა ზედმეტი სანაჯავგე. გაზეთში ჩამოთვლილია რომელ კატეგორიას რამდენი მიეცემა.

#### სურსათის მომარაგება რაიონის გუბერნიისში.

რაიონში ოქტომბრიდან დაარსდა ევრედ წოდებული „რაიონი“, რომელსაც ევალება მიაწოდოს მცხოვრებთ ქართობილი. ქართობილის დასატვირთავად შემოღებულია ბეგარა. „უფენკომისი“ მიერ დაარსდა სამი კვირის განმავლობაში რაიონში, რომელთაც დაეკისრება ქართობილის დაგროვება.

#### ბრძოლა „კულაკებთან“.

ვიტებსკში, რადგანაც დროზე არ იქნა შესრულებული ქართობილის „ნაირილი“, სასურსათო სათათბირომ დააჯარიმა ოსტროვსკის „ვოლოს ჯი“ 2000 ფუტი ქართობილით. გაგზავნილ არიან წარმომადგენლები, რომლებიც განაწილებენ ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს.

#### შინელებს და პატრონების ჩამორჩევა

მოსკოვის მცხოვრებთ, რომელნიც სამხედრო სამსახურში არ იმყოფებან, ეკრძალებათ შანლების და პატრონების რაობა, რაც მათ ჩამოერთმევათ მოსკოვის საბჭოს რწმუნებულის ბრძანების თანახმად.

#### კალმუკებისა და ყირგიზების მობილიზაცია სამხრეთულ რეზერვში საზოგადოებრივად.

„ნარკოპრადის“ კოლევგის 18 ოქტომბრის სხდომაზე კოლევგის წევრმა ა. ი. პოტაევმა მოხსენება გააკეთა ვოლსკ-კასპის რაიონში თავის მოგზაურობის შესახებ. კოლევგამ საკაროთ სცნო გამოსყენებულ პარტიზანებს და კალმუკების შრომის მობილიზაცია კასპის რაიონში თევზის მრეწველობის საქაროთ. კოლევგამ მიანდო მოკრავის მოლაპარაკება გამართოს შრომის კომისართან ამ მობილიზაციის გატარების საშუალების შესახებ, ნარკომპროდის მხრივ დანებების შესაძლებლობაზე და თევზის სამრეწველოს კალიფორიკა მუშათა ძალით უზრუნველყოფაზე. ამის გარდა პოტაევსა და ა. ვ. ხალაჩევს მიენდო დაჩქარებით შეიმუშაონ ზომები ასტრახანისა და პეტროვის რაიონებიდან თევზის გამოტანის შესახებ.

#### ბიზნესი სეკულარია.

„პრავდაში“ მოთავსებულია პარა შენიშვნა ვინმე მუშა ქალის. ის აღნიშნავს იმ სეკულარიათს, რომელსაც ეწვევიან სხვა და სხვა მოხელეები მათ მიერ მიღებულ ნივთებით. ის სწერს: „ნარკომპროდის ყოფილ საოლქო კონტროლის მოსამსახურეებმა, მიიღეს ამ დღეებში თბილი ნივთები. მეტად უხეშაა გარეგნულად მამაკაცის წინდება, ასეთივეა „ვაჩეშევი“. კითხვა იბადება, რისთვის სურათ ეს საკრები „საბჭოთა ბარბიშნა“, ან და სავარაუდო საბჭოთა მოსამსახურეებს? უმრავლესობა იმთავით ხომ არ ატარებენ ამ ნივთებს, მაგრამ რა უნდა ჰქნა თუ ვაძლევს, უარს ხომ არ ირყვი? და ბანკის მოსამსახურეები იღებენ თბილ საგნებს, ჰყიდიან იმათ გადაწყვეტლებზე, ისინი კი თავის მხრივ—სუბარეკაზე.“

### მოგზარაგების მინისტრის ახ. ი. ჭავჭავაძის ნააგობი.

საზღვარ გარეთიდან ტფილისში დაბრუნდა მოგზარაგების მინისტრის ამხანაგი ი. ჭავჭავაძე, რომელმაც საქართველოს დემეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს შემდეგი ცნობები გადასცა: ი. ჭავჭავაძემ ინახულა კონსტანტინოპოლი, ლონდონი, პარიზი, რომი, გენუა და სხვა ქალაქები. გამგზავრების მთავარი მიზანი იყო მომარაგების სამინისტროს მიერ უცხოელ ფირმებთან უშუალოდ დამოკიდებულების დაკავება. ეს მიზანი კარგათ შესრულდა, ჩვენ შევძელით დავეჭირა კავშირი მთელი რამდენიმე ფირმებთან, რომლებმაც განაცხადეს სურვილი საქართველოში თავიანთ ფაბრიკების შემოტანისა, რომლის საფასურად ეს ფირმები საქართველოს მომარაგებისაგან მიიღებენ ნედლ მასალას. ი. ჭავჭავაძის სიტყვით ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები დიდი ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობიან საქართველოს. ამ მიმართულებით ნიადაგი ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრის კანდელაკისაგან იყო მომზადებული, ვინაიდან მას თან დიდ ძალი ცნობები ქონდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ. კანდელაკმა შესძლო საფრანგეთისა და იტალიის ფინანსიური და სამრეწველო წრეების საქართველოში დაინტერესება. კანდელაკს ყველგან კარგად ხედუბოდნენ, ვინაიდან მან შესაფერ წრეებში დიდი სიმპატიები დაიმსახურა. კანდელაკის მისი მუშაობამ მოახზა და ნიადაგი გეგმეკორისათვის, რომელიც პარიზში მიღებულა და ლეიგამ მიიღო. გეგმეკორი პარიზში დიდის თავზაიანობით მიიღეს, ამასთანავე მას გარკვევით განუცხადეს, რომ საქართველო იქნება ცნობილი იურიდიულად, ვინაიდან მან უკვე დაიმსახურა უფლება დამოუკიდებელ ცხოვრებისა. ამ მიმართულებით იმდენად დიდი შედეგები არის მიღებული, რომ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც წინეთ გაგონებაც არ სურდათ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, დღეს თვითონ ხელს უწყობენ მის შესახებ. საფრანგეთის პალატის დეპუტატები ამბობენ, რომ თუ მთავრობამ დაავიანა საქართველოს იურიდიული ცნობა, მაშინ ამ საქმეში თვითონ პალატა აიღებს ინიციატივას. სხვათა შორის საქართველოს დამოუკიდებლობის ცხარე დამცველი არის რუსეთში ყოფილი ელჩი ნულანსი, რომლის თავმჯდომარეობით პარიზში საქართველოს წარმომადგენლების პარტეკსკლად მანკერი გაიმართა. შემდეგ ი. ჭავჭავაძე შეეხო დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ვითარებას და გამოთქვა რწმენა, რომ ევროპა ბოლშევიზმისაგან ძლიერ შორს არის. იტალიის შრომის სამინისტროს მდიანმა ლაბრიოლამ განუცხადა ი. ჭავჭავაძეს, რომ საერთოთ იტალიაში რეპეტიონური განწყობილება არის. მოელოდნ ახალი კაბინეთის შედგენას, რომლის ტენდენციები მილიტარისტული იქნება. მაგრამ ეს რეაქცია არ იქნება ხანგრძლივი, მას შემდეგ გამოფხიზლება მოყვება საზღვარგარეთ რუსული ბლომათ არიან. კონსტანტინოპოლის შესახებ ამბობენ, რომ რუსებმა ოსმალეთის სატახტო ქალაქი უომრათ აიღეს. ყველგან რუსული ლაპარაკი მოისმის. სხვათა შორის ჭავჭავაძე იუწყება, რომ ხალხთა ლიგის წინასწარ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა მილანში ოქტომბრის 12, და რომელსაც არაოფიციალური ხასიათი ჰქონდა, დაესწრო გადამწყვეტი ხმის უფლებით საქართველოს წარმომადგენელი ჯაყელი, რომელმაც წარმოადგინა მოხსენება საქართველოს შესახებ. საქართველოს საკითხის განხილვის შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება საქართველოს ხალხთა ლიგაში მიღების შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქნა დიდი ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ რუსების ხმისა, რომელთა შორის აქცენტი იყო.

### რესპუბლიკის თავდაცვის კომისია.

აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით ამა წლის 20-ს ნოემბერს საღამოს 7 ს. სასახლის ყველ თელ დარბაზში შესდგა პირველი სხდომა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის კომიტეტისა, რომელსაც დაესწრენ ქალაქთა კავშირიდან ნ. ელიავა, ერობათა კავშირიდან ი. ს. სტურუა, ტფილისის ქალაქის გამგებნიდან ვ. ხახანაშვილი, სავაჭრო-სამრეწველო პალატადან დ. აფხაზი, ეროვნულ-დემოკრატიული

# საქართველოს რესპუბლიკის

გაზეთი

## „საქართველოს რესპუბლიკის“

კ ა ნ ს ტ რ ა

### ახსადავს, რომ ნიშია ხელის მოგვარ დაწესებულავენს 20 ნოემბრიდან გაზეთი არ ეგზავნებათ ვინც არ თვის გოლომდა ფულს არ შეაოიხანს, დაკლებული ნოქრები შეშვან ალარ გუგუზნავს.

### შრომის დაჯილდოება.

შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ შრომის დაჯილდოების პროექტის შესახებ თინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შემდეგი დასკვნა გამოიტანა: ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტს, რომელიც სასურველად სთვლის შრომის ნაყოფიერების გადიდებას რა გზიდან არ უნდა ხდებოდეს იგი, აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია საქმის ინტერესებისათვის რომ შრომის დაჯილდოება შემოღებულ იქნას თანდათანობით. პირველ რიგში ჯილდო უნდა მიეცეს შრომის ნაყოფიერებისათვის, ე. ი. იმ საქონლის რაოდენობის გადიდებისათვის, რომელსაც სამრეწველოს დაწესებულებანი ამზადებენ. ჯილდოს მიცემის წესების დეტალურად შემუშავება გადავიღებულ იქნება, რადგანაც ტფილისში არის გამოცდილება. 1914 წლამდე ტფილისში არსებული ზოგი წარმოება ნარდათ მუშაობის სისტემას აწარმოებდა. დეპარტამენტს სასურველად მიაჩნია, რომ დაჯილდოების წესები უბრალო და ყველასათვის ნათელი იყოს, რათა ამ გვარით თავიდან იქნას აცილებული ყოველ გვარი გაუგებრობა და საჩივარი. ამისათვის კი საჭიროა შექნას ამ საქმის პრაქტიკულად მკოდნე-თავან შემდგარი კომისია. ეს კომისია შემდეგში გადაიტყუვა შრომის სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ ორგანოთ, რომელსაც მინდობილი იქნება შრომის დაჯილდოების ყოველგვარი საკითხები. ამ კომისიას მოუხდება გამორკვევა მრავალი საკითხისა, რომლებიც შრომის დაჯილდოების საკითხთან იქნება დაკავშირებული მაგ. საწარმოო დაწესებულებაში უზრუნველყოფა, ნედლი სათბობი და ხელსაწყო მასალებით ან საწარმოო აღრიდებით, ბაზრის ვაცნობა და სხვა ყველა ეს დაკავშირებული იქნება ჯილდოთა მიცემის საკითხთან.

### გზათა დეპარტამენტში

გაზეთებში მოთავსებულ ყალბ ცნობების გასაფანტავად შესახებ იტალიურ გემ „ანკონა“ გაუწყებთ, რომ როგორც სჩანს ბათომის ნავთსადგურის უფროსის საგანგებო კომისიისადმი პატაკისა, გემი „ანკონა“ დატვირთული იყო საქონლით მთავრობისათვის და მხოლოდ ის ნივთები, რომელიც საქართველოს მთავრობას არ დასჭირდებოდა, გადასცემოდა სომხეთს ან სპარსეთს, გემი „ანკონა“ იტალიის სახელმწიფო რკინის გზების უწყებას ექვთანის და არავითარი დარღვევა საერთაშორისო კანონების მას არ ჩაუღწია. იგი გაჩერდა რეიდზე და არ შეერა ბათომის ნავთსადგურში, რადგანაც არ იცოდა, სად უნდა გადაეტვირთა საქონელი, ბათომში თუ ფოთში და ტფილისიდან განკარგულებას ელოდებოდა, ტვირთის მანიფესტი (სია) გასინჯულ იქნა ნავთსადგურის უფროსის მიერ, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ გემზე არავითარი იარაღი და არც წამალი არ ყოფილა. ამას უნდა დაუმატოთ, რომ გემის ნავთსადგურში შემოყვანაში ინგლისელები არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ.

— 18 ნოემბერს ფრილოს ხილზე გაემგზავრა გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟინერი ბ. კიჭინაძე, გზათა უფროსი ინჟინერი ა. კანდელაკის და სალიანდაგო ნაწილის უფროსის ინჟინერ კარპოვიჩის თანხლებით, ფოთლოს ხილის ოფიციალურად მისაღებად და მასზე მოძრაობის გასახსნელად. მიღებას ახერხებდნენ რკინის გზების წარმომადგენლებიც დაესწრებინა.

### ახალი ამბები

— მთავრობის რწმუნებულის დანიშვნა. მთავრობის ამ წლის 16 ნოემბრის დადგე-

ნილებით გულაუთის მაზრიდან დროებით გამოეყო: ვაგრა-ბიჭვინთა, სოუს სამხედრო რაიონი მდინარე რიპსამდე. მთავრობის საგანგებო რწმუნებულად აღნიშნულ რაიონში დაინიშნა დამფუძნებელი კრების წევრი ლეო რუხაძე.

— ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა ხაყურადღებულ უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით ყველა იმ სტუდენტთ, რომელიც ამ წლის 25 ნოემბრამდე არ წარმოადგენენ უნივერსიტეტის კანცელარიაში მატრიკულებს შესაბამისებლად, მიმდინარე სემესტრი არ ჩაეთვლებათ.

— გენ. მაზნიაშვილს და სხვათა საქმე. გულან დასრულდა გენ. მაზნიაშვილის, ჯიჯიხისი და სხვათა საქმე. პროკურორმა ბრალდება მოხსნა გენ. მაზნიაშვილს, ჯიჯიხისი და სხვებს გარდა კანდელაკის და მამულიაშვილისა. სასამართლოს რეზოლუცია ჯერ არ გამოუტანია.

— სახმელთაღმშენებლო კლუბის გამგეობა ამით აცხადებს საბურთალოს მცხოვრებ ახალგაზრდათა საყურადღებოდ, რომ ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საბურთალოს მუშათა კლუბის წარმოდგენებში, მიმართოს ჩასაწერად კლუბის სამკითხველოს გამგეს ქ. ნინო კობლაშვილს სალამოს 4—9 საათამდე კლუბში ან და მე-13-ტე უბნის სამმართველოში ბ. ანდროს პარკაძეს და ვასო ჩიქოვანს დღის 9—3 საათამდე.

— მასწავლებელთა შორის. ოთხშაბათს, ნოემბრის 24-ს სალამოს 6 საათზე ქალთა 1 გიმნაზიაში დაინიშნულია ტფილისის ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელთა კრების გაგრძელება. დღის წესრიგია: 1. მასწავლებელთა კოორდირაციის უნივერსალის“ გამგეობის არჩევა, 2. ტფილისის მასწავლებელთა კავშირის გამგეობის არჩევა, 3. მასწავლებელთა საერთოერთო დამხმარე და დამხმარე კასის დაარსება. ტფილისში მცხოვრები ყველა მასწავლებელი ვალდებულია დაესწროს.

### სამხატვრო ძრონიკა

— ვასილ ბარნოვის თხზულებათა მეორე ტომი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეუდგა ბელეტრისტ ვასილ ბარნოვის თხზულებათა მეორე ტომის გამოცემას. მეორე ტომში დაბეჭდება ისტორიული რომანი „მიმჭრალი შარავანდი“ და მოთხრობა „ტაბილი დუღუქი“.

— ქართული დრამა. ახლო მომავალში ა. ახმეტელის რეჟისორობით დაიდგება ალექს. შანშიაშვილის პიესა „ბერდო ზმანი“. „ბერდო ზმანის“ დასი დიდი ხანია ამზადებს. ხატვენ ახალ დეკორაციებს, სპეციალურად კომპოზიტორი დ. არაყ შვილი სწერს პიესისთვის მუსიკას. დადგმული იქნება ბალეტი თვით რეჟისორის ხელმძღვანელობით. პირველი წარმოდგენა დაინიშნულია 4 დეკემბრისთვის.

— ქართული ოპერა. იპოლიტოვი-ივანოვის ოპერა „ლალიტი“ ხვალ ხუთშაბათს მესამედ იდგმება იმავე შემადგენლობით, რა შემადგენლობითაც პირველ წარმოდგენაზე იყო.

— მაცრების „დონ-ჟუანი“. დიდებულ კომპოზიტორ მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანის“ რეპეტიციები უკვე დაიწყო. „დონ-ჟუანის“ შემდეგ დაიდგება ვაგნერის ოპერა „ლოენგრინი“. ოპერის დასდგამს ალ. წუწუნავა.

### პროფესიონალურ კავშირები

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოეი. მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ. 18 ნოემბერს პროფ. კავშირთა საბჭოში ხელახლად გაიჩნა საკითხი მუშათა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ და იმა-

ზე, თუ რა ზომებით შეიძლება ამ მდგომარეობის ცოტათი მინც გაუმჯობესება. ანხ. ჩხენკელი აცნობს სხდომას იმ რეზოლუციას, რომელიც გამოტანილ იქნა პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტისა და სექტორიის შეერთებულ სხდომაზე და რომლითაც დადგენილ იქნა: ვინაიდან საქართველოს კარს მოადგა გარეშე საფრთხე, ამიტომ დროებით მოიხსნას საკითხი პურის რაციონის გადიდებისა და ერთდროულ დახმარების მიცემისა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. ყველა აღნიშნავდა რომ მშრომელთა მდგომარეობა ატტანელია, აღნიშნავდნენ—არამც თუ დიდები, არამედ—ბავშვებიც კი იხოკებიან შიმშილისაგან და სიცივისაგან და რომ საჭიროა მათი დახმარება, მაგრამ სხვა და სხვა აზრი იყო იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მუშათა მოხმარება. ერთნი სცნობდნენ რა ქვეყნის დაცვის აუცილებლობას, აღნიშნავდნენ, რომ სამშობლოს დაცვისათვის მარტო მუშათა კლასის თავდადება უსამართლობა იქნებოდა მათი აზრით არ შეიძლება მშვიდი მუშა სამშობლოს კარგი დამცველი იქნეს. ამიტომ აუცილებელია ყოველივე ზომები იქნას მიღებული, რომ მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მოთხოვნილება ასეთია: 1) მოწყოს მუშათათვის პირველ საჭიროების საგნების რეგულიარული მოწოდება, 2) გადიდებულ იქნას პურის რაციონი, 3) მიეცეთ ერთდროული დახმარება, 4) გადასინჯულ იქნას მუშათა ჯამაგირები 1 იანვრიდან, 5) სასტიკი ბრძოლა იქნას წარმოებული პირველ საჭიროების საგნების გაძიარების წინააღმდეგ, 6) მიეცეთ მუშებს გიგანტური ბინები, 7) მოეწყოს ეკონომიური საბჭო მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლობისაგან.

წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ასეთი მოთხოვნილების წარმოდგენის, ვინაიდან ეს ნიშნავს, მათი აზრით კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაყენებას როგორც სახელმწიფოს, ისე მუშათა კლასის. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მომდგარ საფრთხის გამო სინეტიული კავშირი უარს აცხადებს პურის ულუფის გადიდებაზე და ერთდროულ დახმარების მოცემაზე.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა: 1) დროებით მოხსნა იქნას მოთხოვნილება პურის რაციონის გადიდებისა და ერთდროულ დახმარების მიცემის შესახებ. ამისთანავე ერთად დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს შრომის სამინისტროს დაოჯიგოს მუშებს შესაძლებელი მიზანით და სხვა პირველ საჭიროების საგნების და აგრეთვე ქართულიის და ხანვის ის რაოდენობა, რომელიც ეხლა აქვს სამინისტროს. 2) წინადადება მიეცეს მთავრობას მუშათა კოორდირაციის მიეცეს სესხი მუშებისათვის პირველ საჭიროების საგნების დასყიდვად, 3) მოწყველ იქნას საბჭოსა და ყველა კავშირების გამგეობების შეერთებული თათბირი, სადაც განხილული იქნება საკითხი მუშათა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

### ისტორიული ნაწილები

რუსეთისათვის პირველად ჯარში გაწვევის ისტორია.

(დასასრული)

ეხლა მოვიყვანთ იმასაც, თუ ნიკოლოზ ჰუგუზაძეს და სხვა ქართველ გენერლებს რა წესით სურდათ საქართველოში ქართველთაგან ჯარის მოკრება. ესეც მოკლეთ იქნება მოხსენებულად: 1, ქართველთაგან საქართველოში იკრიბება ჯარი. ამ ჯარს სამსახური აქვს სამი, ან ოთხი წლის ვადა, მეტი არა. 2, ტანთაძემელს მათ აცემენ ქართულს და ამიტომ მათ ქართული ტანთაძემელს ეძლევათ რამდენიმე ხელი. 3, ქართველი ჯარი რჩება საქართველოში, მაგალითებრ ქართლ-კახელებს გზავნიან ერევნისაკენ, განჯისას და იმერლებს გზავნიან ქართლსა და კახეთში. 4, ქართველი ჯარის კაცი თუ სამსახურში ნიქს გამოიჩენს მას უნდა მიეცეს უფროსობა 5, ქართველი ჯარისკაცი არ უნდა იქმნენ რუსული ენის უცოდინარობის გამო შევიწროებულნი, რადგანაც მათთვის მალე იქნება რუსული ენის შესწავლა. 6, ქართველი ჯარი არამცა და არამც არ უნდა იქმნეს საქართველო და კავკასიიდან დაფანტული და სამეტურ რუსეთში გაგზავნილები, თორემ იქ ქართველი ჯარის ხალხი სულ დაიხოკებიან, გაწყდება.

სხვაც ასეთი მუხლები, მაგრამ ჩვენ ეს ექვსი მუხლი ვიკმაროთ. საერთოდ ეს პროექტი ძირიანათ ეწინააღმდეგებოდა ოუს გენერლის პროექტს.

ქართველთა პროტესტი და სიმართლემ თავისი გაიტანა—მოახლოვდა ჯარის მოკრების დროც, ეს იყო 1887 წ. მოკრებაც გამოცხადდა, ამისთვის მთავრობასაც ჯარი ჰყვანდა მზათ, თუ ვინცინა და ქართველები წინააღმდეგნი გახდებოდნენ, მაშინ ჩვენ ჩვენის ჯარის ძალით დავიმოხრებთ და ძალით გამოვიყვანთ.

ჩვენ მტერ-მოყვარე რუსის ბოროტ გენერლებს კარგი დილა ვერ გაუთუნდათ ქართველი ყმაწვილ კაცობა პირველ დამახეიბის ანავე, მთელი საქართველოს ქართველი გვარის ყმაწვილკაცობა დიდის ზალისით გამოვიდა და რსად არსდგენი წინააღმდეგობა არავის გაუცხადებია, ყველა სიამოვნებით იღებდა კენჭს.

ამ გარემოებამ ჩვენ მტერ-მოყვარე რუსის გენერლებს მახვილი ჩასვა ყველას და რუსის გენერლებმა ხმა ჩაიწყვიტეს, ველარაფერი სუქვეს, მაგრამ მინც თავიანთ ბოროტს გზას არ დაანებეს თავი. პირველათ მოკრეფილს ჯარის კაცებს მართლაც ქართული ტანთ საცმელი ჩააცვეს. ნაბდის ქულები დაახურეს, ერთი სიტყვით, ქართულათ შემოსეს ყველა. ქართლ-კახელების ერთ ნაწილს განჯა, ერევან ბაქოსაკენ გზავნიდენ, ერთ ნაწილს იმერეთში, იმერლებს ერთი ნაწილი ქართლ-კახეთში გადმოჰყვანდათ და ერთ ნაწილსაც ერევან, განჯა-ბაქოსაკენ გზავნიდენ. რუსეთის ბოროტ გენერლებმა ასე დასტოვეს სამს წელიწადს და მის მერე კი ქართველ ჯარის კაცებს ქართული ტანთსაცმელის მაგიერ, რუსული მისცეს და გზავნიდენ სხვა და სხვა ქალაქებში.

ამ გარემოებამ ქართველთა ერთი დიდათ დაალონა. ყველა სწუხდა შვილი რომ რუსეთში მიუღიდნა. მის დაბრუნებას იქიდან აღარ ელოდენ. ქართველები ასე გლოვობდენ თავიანთ შვილებს და რუსებს კი ეხაროდათ, რომ საქართველოს შვილებს თავის სამშობლოს აცილებდენ და რუსეთში ფანტავდენ. ამ გვართ, დაუწყეს ქართველთა შვილებს რუსეთის გუბერნიებში დაფანტვა და დაქსაქსვა. ქართველი ჯარის კაცები ვერ იტანდენ რუსეთის ცივ ჰავას და ბევრი მათთაგანი კვდებოდა.

დასწუხებულ ჯარის კაცებს ბოლოს მთავრობა საქართველოში აბრუნებდა. მთელი საქართველო გავისო რუსეთიდან დაბრუნებულ დასწუხებულ ქართველ ჯარის კაცებით.

ამ გარემოებამ ჩააფიქრა ქართველი ხალხი, მაგრამ რუსის მთავრობა ყურსაც არ იბერტყავდა.

სხვაგან. ერობის გამგეობამ ამას დროზე უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, რათა შარშანდელი გაქირვება ისევ თავს არ დაგვატყდეს.

მართალია მეტ მოსავალს მოველოდით, მოველოდით ზედმეტს, მაგრამ უდროო წვიმებმა, ავადარმა ისე გააფუჭა ნახევრად მწიფე სიმინდი, რომ ძალზე გააფუჭა და ძლიერს საყოფი დარჩა.

ლობოს მოსავალი გვარინი იყო. სულ მაზრაში 66.400 ფ. ლობოს მოსავალი ნავარაუდევად ყველაზე მეტი მოსავალი გუდავას საზოგადოებაში მოვიდა. ყველაზე ნაკლები დ. აჩიგვარაში. ღვინოს მოსავალი საშუალოზე უკეთესი იყო. სულ 95.180 ფ. თხილის შარშანდელზე უკეთესი იყო. სულ 99 ათას 265 ფ. ნივთის მოსავალი არ იყო ცუდი, სულ 35.180 ფ. რაც შეეხება ხახვს, ასეთი დიდი არ მოსულა, სულ 3.640 ფ.

ასე, რომ მაზრაში წლებგანდელი მოსავალი საზოგადოებას ყოფნის. მხოლოდ წინდაწინ უნდა იქნეს მიღებული ზომები რათა სიმინდი მაზრიდან გატანილი არ იქნეს ძველებურად, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილი იქნება მასალოდნელი.

ბ. უჩაიანი შეილი.

გ ა ნ ც ხ ა ღ მ ზ ა ნ ი

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 1830 მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და მეტრიკა პარმენ სოფროშის ძე გეწაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3803 3-3

დაიკარგა პასპორტი ივანე მიხეილის ძე კუპატაძის სახელზე, ს. მონაკის (ტფ. მაზრა) სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3786 3-3

დაიკარგა პასპორტი № 4805 ლუბა ილიას ასული არგუთინის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3787 3-3

დაიკარგა უფლო პასპორტი სერგო პოლოსის ძე ტიფტიკიანის სახელზე, მიღებული ახალციხეში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3788 3-3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ვიქტორ ანდრიას ძე უკმაჯუროძის სახელზე, მიღებული შინ. საქ. სამინისტროდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3790 3-3

დაიკარგა პასპორტი № 93 ალექსანდრა გრიგორის ასული ბერტნიკოვის სახელზე, მიღებული მანგლისიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3791 3-3

დაიკარგა პასპორტი № 835 კარაპეტ აფიბაძის ძე ტერ-ოვანესიანის სახელზე, მიღებული ალექსანდროპოლის მდამიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3792 3-3

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრა პეტრეკანის ძე ავალაროვის სახელზე, მიღებული ნუხის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3793 3-2

ტფილისის სამმართველო სსსმართლოში კონსტანტინე პეტრეს ძე მილნიკოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანტონიტი ილიას ასული მილნიკოვისა რომელმაც დაეკარგა 1911 წლიდან, რის გამო აღნიშნული კონსტანტინე პეტრეს ძე მილნიკოვი თხოულობს მისგან განქორწინებას, ყველა, გინც იცის დაკარგული ანტონინა ილიას ასულის მილნიკოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით განუცხადონ სამმართველო სსსმართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3815 3-2

დაიკარგა საბინაო დავთარი ფედოსიევის ქ. № 24 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ს. მამაკოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3814 3-2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი შიო ბლანტარაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სსსმართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1920 წ. რეესტრით № 1660. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3808 3-2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 110 ევგენი ნიკოლოზის ძე მარკოვიჩის სახელზე, მიღებული ქ. გროზნის ეკლესიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3816 3-2

დაიკარგა საბინაო დავთარი, იზმაილის ქ. № 11 მდებარე სახლის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3826 3-2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესავლელი ბილეთი და პირადობის მოწმობა ანა ნადარეიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3807 3-2

დაიკარგა სამხედრო ბეგრადან თავისუფლების მოწმობა № 931 გიორგი კალანდაძის სახელზე მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3891 3-2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფ. ოლქ. სსსმართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1893 წ. № 719 და 1893 წ. № 902, რომლითაც იულია ანტონის ასულმა ზანკოვსკიმ შეიძინა ჩიტახოვისგან მიწა. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3805 3-2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული 1911 წ. № 187, გეგმა და აღმასრულებელი ხელშეკრულება ვარდაცვალებული გეორგი ბაბაჯანის ძე ბაგდასარიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3789 3-2

დაიკარგა პასპორტი გეორგი ავაბეგის ძე ვანცოვას სახელზე, მიღებული სომეხთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3818 3-2

დაიკარგა კვათანის ორ-კლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 224 კარპე ესტატეს ძე თოფურისას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3827 3-2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი მატრონა პეტრეს ასული სოლოზოვას სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სსსმ. უფრ. ნოტარიუსის მიერ 1910 წ. რეესტრის № 2701 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3831 3-2

დაიკარგა საბინაო დავთარი გუნბის ქ. № 60 მდებარე სახლის რომელიც ეკუთვნის ფალავანდიშვილს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3833 3-2

ტფილისის მე-19 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ვარდაცვალებულ ტომოთე პეტრეს ძე კაპტკიევსკის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ტომოთე კაპტკიევსკის შემდეგ დაჩენილ ქონებაზე. სამემკვიდრო კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვილაში. 3869 1-1

ტფ. კომერციულ ნავთის მრეწველთა საზოგადოება იწვევს ბ. ბ. აქციონერებს

საგანგებო საზოგადო კრებაზე, რომელიც შესდგება კვირას 1920 წ. დეკემბრის 12-ს გამგეობის კანტორაში, ვაჭარა ბანკის შენობაში (ერევნის ქ. № 3) დილის 11 საათზე.

საზოგადოების საქმეების ლიკვიდაციის საკითხების განსახილველათ და სალიკვიდაციო კომისიის ასარჩევათ.

თუ საზოგადო კრება, წევრების საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგება, მაშინ მეორე კრება დაინიშნება იქვე კვირას 19 დეკემბერს, რომელიც კანონიერად ჩაითვლება. 3854 1-1

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ქუთაისის კანტორა

აჟით ახსადებს, რომ დეკემბრის 8, 1920 წელს, დილის 10 საათზე

საჯაროთ განუიდება

წაუღებელი პაპიროსის ქალაქი, რომელიც მოსულია ოდესიდან უდოკუმენტებოთ რო 8240 და რო 10569 მარკებით. საქონლის გასინჯვა შეიძლება გაყიდვის დღეს საზოგადოების საწყობში, პუშკინის ქ., 14 სახლი გოკიელოვისა. 3850 3-2

ა. წ. 22 ნოემბერს, ოლქის სსსმართლოს შენობიდან მეოთხე უბნის მომრიგებელ მოსამართლის კამერადის გზაზე დამეკარგა ღია პაკეტი დასახლებული მოსამართლის სახელზე დაწერილი თხოვნით და ამ თხოვნაში დაწერილებით ჩამოთვლილი დოკუმენტებით, რომლებიც, როგორც მნ ხველი თხოვნიდან ნათლად გაიგვებს, მე არ მეკუთვნის და სხვისთვის, თუ არა იმ დოკუმენტის ნამდვილი პატრონისთვის, სრულებით გამოუსადექია. მოვინდვს ვსთხოვ დამიბრუნოს ის პაკეტი ყველა ქაღალდებით, თხოვნაში აღნიშნულ ჩემი მისამართით და მიიღოს ჩემგან ჯილდოთ 150 ათასი მანეთი. ნ. ცინცაძე. 3864 2-1

დაიკარგა პასპორტი № 719 პორფირე ცაქვას ძე წიფურისას სახელზე მიღებული კიწის (სენაკის მაზ.) საზოგადოებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3856 3-1

დაიკარგა პასპორტი № 6796 მიღებული ტფილისის პოლიცემისტრის სამმართველოდან 1910 წ. კაპიტალი ანტონის ასული ლინშტეტის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3859 3-1

დაიკარგა პასპორტი № 1875 მიღებული ყაზახთა ატამანისაგან 12 ივლისს 1918 ფეო დოისია ივანეს ასულის სუბოტინის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3861 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ისპანეთის ვიცე-კონსულისაგან და დროებითი მოწმობა. მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან სერგო იაკოვის ძე ვართანოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3866 3-1

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს ჩავარიძეს დაუქარგავს ღვინის შექმნის ნებართვა № 3396 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3846 3-1

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ სარდაფის მეპატრონეს ივანე პეტრიაშვილს დაუქარგავს ღვინის შექმნის ნებართვა 1920 წლისათვის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3845 3-1

დაიკარგა სამხედრო ბეგრადან განთავისუფლების უფლო მოწმობა, მიღებული ტფილ. სამხედრო უფროსისგან დავით ვსილის ძე ბალანჩივაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3957 3-1

დაიკარგა ღვინის აღმართზე, № 10, მდებარე სახლის წიგნი გრიგოლ იერემიას ძე ალხაზოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3855 3-1

პროვინციის ცხოვრება

სამურზაყანო.

სამურზაყანოს მაზრა ითვლებოდა იმ კუთხედს, სადაც დიდ-ძალი სიმინდი მოდის, რომელიც აკმაყოფილებს არა თუ თავის მცხოვრებთ, არამედ ბევრს სხვა მაზრის მცხოვრებთაც. გასული წლის მოსავალი იმდენად დიდი იყო მაზრაში, რომ დიდ-ძალი სიმინდი იქმნა გატანილი გვარდის, ჯარისა და ერობა ქალაქების სასარგებლოდ სხვა მაზრებში. მართალია ბოლო ხანებში შიმშილმა აქაც იჩინა თავი და საზოგადოებთა უმრავლესობა შიმშილს განიცდიდა, მაგრამ შიმშილი მინც ძლიერ იქმნას და 1920 წლის მოსავალს მოვალწიეთ.

ის სამურზაყანოს მაზრის ერობის სტატისტიკური განყოფილების გამომკვლევით მაზრის სხვა და სხვა ნაწილებში შემდეგია:

- 1) პირველი—გალის საზოგადო. წელს 38000 ფ. სიმინდი მოვიდა, 2) დ. გალის 5000 3) დ. აჩიგვარის—4000 ფ., 4) გუდავის—10000 ფ., 5) რეჩხო-ცხირის—40000 ფ., 6) ქუბურის-ხინჯის—40000 ფ., 7) ვაგიდის—20000 ფ., 8) ოქუმის—40000 ფ., 9) ბედაის—100000 ფ., 10) ბარფების—50000 ფ., 11) საბერის—100000 ფ., 12) თავილონის—35000 ფ., 13) რეკის—20000 ფ., 14) ოტობაის—90000 ფ., 15) ცხირო-გალის—40000 ფ., 16) რეფო-შეშელეთის—100000 ფ., 17) მუხურის—40000 ფ., 18) ნაბაკევის—18000 ფუთი. სულ 916.000 ფუთი.

ასე მაზრაში წელს ნავარაუდევია 916,000 ფუთი სიმინდი დაახლოებით. ესეა ავილოთ მცხოვრებთა რიცხვი, რომელიც აღწევს ორთვე სტების 43,965 სულს. გამოდის, რომ თითო სულზე წელს მოსავალი მოდის 20—25 ფუთი თავისი სხვა და სხვა საქირებებით. ერთი სიტყვით მაზრის მოსავალი მაზრას ჩოფნის თუ კი სიმინდი გატანილი არ იქნა